**Director of Social Projects Frontera Eastern Georgia Ivane Tskhomelidze and the President of the Social Pediatrics Protection Fund Giorgi Chakhunashvili organized free medical examinations in different regions of Georgia, where hundreds of patients were provided with free medical assistance. The same action is planned on International Children's Day. In Tbilisi and in Tskaltubo where the doctors of different profile will provide free aid to the local population.**

## საქმიანი ბჭობა - USINESS CONVERSATION







01.12.17.თსსუ-ის აფილირებული კლინიკა – „ბაზი", აღდგენითი თერაპიის ცენტრი.

ჩატარდა მორიგი საქველმოქმედო აქცია, ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელთან ერთად.



**05.01.18.**

„გენი ქართული“-თან ერთად. აგრძელებს მრავალშვილიანი ოჯახების, როგორც მორალურ ასევე პრაქტიკულ მხარდაჭერას.



**06.02.18 ბაზი**



**12.03. ბაზი**



**12.04.18. ქველმოქმედება მრავალშვილიანებთან**



**ბაზი-08.05.18**



**23.06.18 წყალტუბო**

როგორც ვიუწყებოდით: „Frontera Eastern Georgia-ს სოციალური პროექტების დირექტორის ივანე ცხომელიძის და სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის პრეზიდენტის გიორგი ჩახუნაშვილის ორგანიზებით მიმდინარე წელს, თბილისსა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ჩატარდა უფასო სამედიცინო გასინჯვები, სადაც ასობით პაციენტს გაეწია უფასო სამედიცინო დახმარება. ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით იგეგმება ასეთივე აქცია თბილისსა და ქ. წყალტუბოში, სადაც სხვადასხვა პროფილის კვალიფიციური ექიმები გაუწევენ უფასო დახმარემას ადგილობრივ მოსახლეობას“, სწორედ, ამის გამოძახილი იყო 23.06.18. გასვლა იმერეთში, რასაც შეურთდა „ოტია იოსელიანის ფონდი“ და „მედიქალ სითი“ (გენერალური დირექტორი გია



გრძელიძე). აქციაზე უფასო გასინჯვები და სამედიცინო დახმარება გაეწია 10-ობით პაციენტს. პერსპექტივაში დაისახა „მედიქალ სითი“-ის მიე საქველმოქმედო აქციები წყალტუბოს მკვიდრთათვის.

დიდი მადლობა მის ყველა მონაწილესა და ორგანიზატორს.

Director of Social Projects Frontera Eastern Georgia Ivane Tskhomelidze and the President of the Social Pediatrics Protection Fund Giorgi Chakhunashvili organized free medical examinations in different regions of Georgia, where hundreds of patients were provided with free medical assistance. The same action is planned on International Children's Day. In Tbilisi and in Tskaltubo where the doctors of different profile will provide free aid to the local population.

**29.06.18 ჩუღურეთი**



სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდი და რონტერა აგრძელებს საქველმოქმედო აქციებს უკვე თბილისის სხვადასხვა უბნებში, რა თქმა უნდა მხარდამჭერებთან ერთად.

29 ივნისს საქველმოქმედო ფონდი მომავლის გზაში ჩატარდა მორიგი სამედიცინო საქველმოქმედო აქცია ჩუღურეთის რაიონის მცხოვრები ბავშვებისთვის.

ფონდში მოწვეული იყო მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს დარგობრივ აკადემიათა აკადემიკოსი. (პედიატრი, ბავშვთა კარდიო-რევმატოლოგი) ბატონი გიორგი ჩახუნაშვილი.

სამედიცინო გამოკვლევებით ისარგებლა ჩუღურეთის რაიონის გამგებელი ბატონი ზურაბ ჩიკვილაძის მიერ რეკომენდირებულ 30 -დე ბავშვა. აღნიშნულ აქციას თავად ჩუღურეთის გამგებელი ბატონი ზურაბ ჩიკვილაძეც ესწრებოდა. ასევე სამედიცინო მომსახურეობა გაეწია ფონდი მომავლის გზის 40 ბენეფიციარ ბავშვს. სულ უფასო სამედიცინო გამოკვლევების პროგრამით ისარგებლა 70-დე ბავშვმა, რომელიც გადამისამართდნენ თბილისის სხვადასხვა წამყვან კლინიკებში.

ფონდი დიდ მადლობას უხდის ბატონ გიორგი ჩახუნაშვილს უანგარო, კეთილშობილური მისიის გამო. ფონდი მომავლის გზა ასევე განსაკუთრებულ მადლობას უხდის პროექტის ორგანიზატორს ქალბატონ ლალი ელიზბარაშვილს.

**აგვისტო 2018წ-სვანეთი – აქცია მესტიასა და უშგულში**



**1.14.12.18. გორი დევნილთა ვერხვების დასახლება**



**01.2019 თბილისი**



**17.12.18 აფხაზეთიდან დევნილ მრავალშვილიან ოჯახებს ბარბარობის დღესასწაული მიულოცეს**

ბარბარობის დღესასწაულთან დაკავშირებით აფხაზეთიდან დევნილი სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის საქველმოქმედო აქცია „ბავშვის ჯანსაღი კვება და უსაფრთხო ბავშვობა“ (რა იწვევს ტყვიის მაღალ შემცველობას ბავშვის ორგანიზმში, უსაფრთხო სათამაშო) გამართა, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობიდან აცნობეს.

მათივე ინფორმაციით, ღონისძიება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდმა და არასამთავრობო ორგანიზაციამ „გენი ქართული“ გამართეს. ღონისძიებას ესწრებოდნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ქეთევან ბაკარაძე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე ზაზა ბოხუა, აფხაზეთის ავ-



ტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე მარინა ონიანი, სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის ხელმძღვანელი, პროფესორი გიორგი ჩახუნაშვილი, საქველმოქმედო პროგრამის ხელმძღვანელი, ექიმი პედიატრი, პროფესორი ნინო თოთაძე და პროფესორი რევაზ სულუხია. საქველმოქმედო აქცია კლინიკაში „ბაზი“ გაიმართა.

აქციის ფარგლებში აფხაზეთიდან დევნილ სოციალურად დაუცველ ათ მრავალშვილიან ოჯახს 6 თვიდან ერთ წლამდე ასაკის ბავშვებისთვის ჰუმანიტარული დახმარების სახით საკვები პროდუქტები, ჰიგიენური საშუალებები და სათამაშოები გადაეცა.

ასევე, საქველმოქმედო აქციის ფარგლებში კომპანია „ისი-პარის“ მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა ხატია შამუგიამ სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან დედებს საჩუქრები გადასცა.

**29.01.19 ბაზი — ერთობლივი აქცია**



**02.02.19. კცია — სენაკში — სენამედი**





**08.03.19. ბაზი**

სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდისა და ორგანიზაცია გენი ქართულის მორიგი საქველმოქმედო აქცია 8 მარტის დღისადმი მიძღვნილი თსსუ აფილირებული კლინიკა „ბაზი”-ში. ხელს ვუწყობთ ბავშვთა ჯანსაღ კვებას — ეგიდით ღონისძიების ხელშემწყობი საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო — აწარმოე აგროჰაბის ფარგლებში. მადლობა ბატონ გიორგი ავალიანს და ქალბატონ ეკა ჯორბენაძეს აქციის ორგანიზებაში ხელშეწყობისთვის. მადლობა თითოეულ სტუმარს და მონაწილე კომპანიას.

**29.03.19 EVEX-თან ერთად ტყვიავში**



**03.04.19. მორიგი აქცია ბაზში გენი ქართულთან ერთად**



**19.10.19.** ფრონტერასა და სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის ერთობლივი ტრადიციული ღონისძიებანი გრძელდება.

რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიის მიჯნაზე

საქველმოქმედო აქციები სოფლებში: ქორდი, არბო, ერების საზღვაეთან...





**2019წ. აქცია №41 სკოლაში**





# საქართველოს ექთანთა კონფერენციის ისტორია

## HISTORY OF GEORGIAN NURSE CONFERENCE

## საექთნო საქმე

საექთნო საქმიანობა წარმოადგენს ჯანმრთელობის დაცვის სფეროს მომსახურებათა მნიშვნელოვან ქვესისტემას და რესურსს ჯანდაცვის ეროვნული სისტემის პოტენციალის გაძლიერებისათვის

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის საექთნო საქმის განმტკიცების სტრატეგიული მიმართულებიდან ერთერთი პრიორიტეტული სწორედ საექთნო განათლებაა, საექთნო საქმეში საგანმანათლებლო პროგრამებმა ხელი უნდა შეუწყონ ექთნისათვის აუცილებელი დარგობრივი კომპეტენციებისა და ასევე ზოგადი/ტრანსფერული კომპეტენციების განვითარებას.

საქართველოს ჯანდაცვის სისტემა კვალიფიციური, საექთნო საქმის თანამედროვე კონცეფციის მქონე ექთნების მწვავე დეფიციტს განიცდის.ექთნების რაოდენობა შემცირებულია ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით

პრობლემებს შორის აღნიშვნას საჭიროებს ექთან/ პაციენტის შეფარდების არ გათვალისწინება, რაც გავლენას ახდენს საექთნო მოვლის ხარისხზე.

საექთნო პერსონალის რიცხოვნების შემცირების მრავალმიზეზთაგან უპირველესი ამ პროფესიის არაპრესტიჟულობა და დაბალი ანაზღაურებაა.

ამავდროულად საქართველოში გვაქვს საექთნო პროფესიის რაობისა და ფუნქციების ცოდნის დეფიციტი როგორც საზოგადოების არასამედიცინო ნაწილში, ასევე, საექიმო და საექთნო პერსონალში.

### საქართველოს ექთანთა კონფერენციის ისტორია

სწორედ ამ მოთხოვნების და ცნობადობის გაუმჯობესების მიზნით ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექციის ბაზაზე შეიქმნა ევრომეცნიერების საექთნო სექცია.

საქართველოს ევრომეცნიერების ეროვნული სექციის და სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის დახმარებით, რასაც სათავეში უდგას ბატონი გიორგი ჩახუნაშვილი ჩამოყალიბდა 2008წ.-იდან ევრომეცნიერების საექთნო სექცია და ჩატარდა პირველი საექთნო კომფერენცია. რომელიც ტრადიციულად გრძელდება და ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ ტარდება .

### 2008-I

ზოგადად ევრომეცნიერების და მათ შორის საექთნო სექციის ინტერესია უამრავ ქვეყნებში გახდეს ცნობადი, წარმოდგენილი იყოს სოციალურ ქსელში და ბეჭდურ მედიაში ექთანთა მიხწევები და საექთნო საქმის განვითარება საქართველოში.




### 2010-II

2011 წლწს ჩატარდა რიგგარეშე კონფერენცია სადაც მოწვეული იყო ერთერთ თავჯდომარედ ა.შ.შ. დან ჩვენი კოლეგა კიმ .... კიმმა ძალიან ბევრი რამე გააკეთა საქართველოს ექთნების განვითარებაში, სასწავლო პროგრამაში.

2013 წელს როდესაც პოსტსაპჭოთა სივრცეში გაიხსნა საქართველოში, იაშვილის კლინიკის ბაზაზე პირველი ემერჯენსი კიმი გვედგა გვერდზე და ერთად ვატრენირებდით იქ მომუშავე ექთნებს.

ჩემი ამირიკის შეერთებულ შტატების ვიზიტის დროს მიღებული გამოცდილება მოვარგეთ ქვეყანაში არსებულ მოთხოვნებს „ადმინისტრაციის, განყოფილების ხელმძღვანელის მოთხოვნების გათვალისწინებით და ჩვენი ამერიკელი კოლეგების დახმარებით ქვეყანაში და კერძოდ იაშვილის კლინიკაში არსებულ სისტემას და საექთნო სამსახურს. საქართველოში ექთანმა წარმატებით აითვის პირველადი ჩივილების და ანამნეზის გამოკითხვა პაციენტის მშობლისგან, დაიწყო პაციენტის პირველადი შეფასება, გაერკვია და დაეუფლა საექთნო დიაგნოზებში, ასევე ძალიან კარგად აითვისა სამედიცინო აპარატურა და ტექნოლოგიები, ერთი სიტყვით საქართველოშიც იგრძნო ექთანმა თავი, რომ შეიძლება იყოს მაღალი კვალიფიკაციის პროფესიონალი, მისი საქმე არ არის მარტო მითითებებით დანიშნულების მექანიკური შესრულება მას შეუძლია პაციენტის მკურნალობაში და მართვაში ჩაერთოს თავის კონფედენციების ფარგლებში. მუდმივად ვატრენირებდით ექთნებს, ისევ ჩვენს გვერდით იდგნენ ამერიკელი კოლეგები და მათ გადამზადებაში გვეხმარებოდნენ რის საფუძველზეც გამართულად და წარმატებით ჩაეყარა საფუძველი საქართველოში ემერჯენსის განყოფილების მუშაობას, მათ შორის საექთნო საქმესაც.

2014 წ. ჩატარდა რიგით III საექთნო კონფერენცია, კონფერენციაზე ექთნებს წარმოდგენილი ქონდათ საექთნო ჩარევებზე და დიაგნოზებზე პრეზენტაციები .

ასებე წარმოდგენილი ქონდათ ინდივიდუალურად კონკრეტული პაციენტის ქეისი.

რაზეც გაიმართა დისკუსია და მსჯელობა, რამდენად საექთნო მიმართულება იყო სწორედ ჩართული პაციენტის მკურნალობაში

### 2019Წ-IV კომფერენცია

21019 წლის რიგით IV კონფერენცია რომელსაც შემოემატა კიდევ ერთი თავჯდომარე ევრომეცნიერების საექთნო მიმართულებაში თამარ დაუსი რომელმაც ძალიან დიდი წვლილი შეიტანა და დიდი დამსახურება აქვს საექთნო დეპარტამენტის გადამზადებასა და თანამედროვე საექთნო საქმის განვითარებაში, ასევე ევრო სტანდარტების მიხედვით ჩამოაყალიბა დიდ გუნდთან ერთად დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტთან არსებული საექთნო კოლეჯი, რომლის კურსდამთავრებულებიც უკვე არიან წარმატებული ექთნები.

აღნიშნული კონფერენცია ტარდება დღეს სადაც წარმოდგენილია საქართველოს თითქმის ყველა რეგიონის ექთანი, რისთვისაც მათ ძალიან დიდ მადლობასა მოვუხდი ევრომეცნიერების სახელით.

IV კონფერენციაზე მომხსენებლებს წარმოდგენილი აქვთ შემდეგი თემები:

- პირვალი გადაუდებელი მედიცინის (ემერჯენსის განყოფილება სამეგრელოს რეგიონში.
- ექთნის პროფესიის გაცნობა და პირველადი გადაუდებელი დახმარების კურსი შშმ პირებისათვის.
- სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების პროგრამა.
- საექთნო განათლება საქართველოში
- აჭარის რეგიონში საექთნო საქმე
- თრომბოლიზისი
- ინფექციის კონტროლის საკითხები სადიალიზოში
- ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის საკითხები საქართველოში
- საოპერაციოს განვითარება
- პალიატიური პაციენტების მოვლა პედიატრიულ ასაკში
- შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1 პედიატრიულ ასაკში
- ხელის ჰიგიენის განვითარება იმერეთის რეგიონში
- სასწავლო პროცესის მართვის სისტემის დანერგვა
- ტრაქეის სტენოზის მკურნალობისა და პროფილაქტია საექთნო მიდგომები

წარმოდგენილი თემებიდან ირკვევა, რომ საექთნო სამსახურში მიმდინარეობს პროფესიისა და პროფესიონალიზმის განვითარება.

ჩემო ძვირფასო კოლეგებო და დამსწრე საზოგადოებავ ამაში ნამდვილად დარწმუნდებით, რომ საქართველოს უკვე ყავს და უახლოეს წლებში კიდევ უფრო მეტი ეყოლება პროფესიონალი ექთნები.

***მარინე დიდებაშვილი***
***ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექციის საექთნო მიმართულების ხელმძღვანელი სს ევექსის ჰოსპიტლები – ი. ციციშვილის სახელობის ბავშვთა საავადმყოფოს მთავარი მედდა***




Kim Crowford, Roeland Monasch Unicef representative (USA)

# NURSING EDUCATION IN GEORGIA



The recommended WHO recommendation is per 1 doctor 4 nurses. According to 2013 data, this figure in Georgia is 1: 0.9 which is one of the last places in Europe. For comparison, this ratio in Belgium is 6 nurses per doctor, 5.3 in Switzerland and 3.4 in Germany.

According to official statistics, per year in Georgia are graduating up to 100 nurses, while the average European rate is 1400 nurses annually.

Currently we have are three levels of education for nurses:

1. Third level, 2 years learning program qualifying for nurse assistants (professional education)
2. Fifth level, 3 years learning program qualifying for professional nurses (professional education)
3. University level, 4 years learning program qualifying for nurse bachelors.

The curriculum till 2018 5th and 3rd level programs do not include, basic subjects such as anatomy, physiology, biochemistry, pathology, microbiology and others. Evex Medical Corporation

As legislative initiative worked on improvement of learning curriculum for fifth level nurses according to Euro directive 2005/36 while meeting international standards. The process took two years with frequent relationship with Ministry of Education and Science of Georgia. Evex Medical Corporation filed an application for the National Center for Education Quality Enhancement. The curriculum, presented by working group shares the curriculum scheme of America, Finland, Ireland and Poland and follows the requirement of Euro directive. New curriculum has been approved on April 18th, 2018. Despite trying to fill in theoretical and practical gaps of a current program it is still very challenging to meet desired international level of nursing education. Together with challenging curriculum, the teaching process faces major obstacles due to a lack of appropriate work force teaching process. Now very little number of nurse trainers are teaching in colleges. Most of the lectures are held by doctors. This problem is further worsened by lack of teaching materials. Currently we are trying to tackle the problem locally providing student with ad hoc solution and learning materials only. Our goal is, and we are already working, based on the partnership established between EBRD and EVEX to create educational literature. The achievement of this goal is of the utmost importance, because without this component, a relevant full-fledged education scheme cannot be built.

# საექთნო განათლება საქართველოში

ჯანმოს რეკომენდაცია: 1 ექიმზე 4 ექთანი. 2013 წლის მონაცემებით, ეს მაჩვენებელი საქართველოში არის 1:0.9, რაც ბოლო ადგილას გვაყენებს თუ გადავხედავთ ევროპულ გამოცდილებას. შედარებისთვის, ეს თანაფარდობა ბელგიაში 1:6, 1:5.3 შვეიცარიში და 1:3.4 გერმანიაში.

ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, საქართველოში წელიწადში 100-მდე ექთანი ასრულებს სასწავლებელს, ხოლო ევროპული საშუალო მაჩვენებელი ყოველწლიურად 1400-ს აღწევს.

ამჟამად საექთნო განათლების სამი დონე არსებობს:

1. მესამე საფეხური – 2 წლიანი სასწავლო პროგრამა – კვალიფიკაცია ექთნის თანაშემწე (პროფესიული განათლება);
2. მეხუთე საფეხური – 3 წლიანი სასწავლო პროგრამა – კვალიფიკაცია ექთანი (პროფესიული განათლება);
3. მე-6 საფეხური – საბაკალავრო პროგრამა – 4 წლიანი სასწავლო პროგრამა, ექთან ბაკალავრის კვალიფიკაცია;

მე-5 და მე-3 დონის პროგრამებში არ შედიოდა ძირითადი საბუნებისმეტყველო საგნები, როგორიცა არის ანატომია, ფიზიოლოგია, ბიოქიმია, პათოლოგია, მიკრობიოლოგია და სხვა.

სამედიცინო კორპორაცია ევექსმა განახორციელა საკანონმდებლო ინიციატივა, რომლის მიხედვით გაუმჯებოსდა მეხუთე საფეხურის ექთნის სასწავლო პროგრამა ევროკავშირის 2005/36 დირექტივის შესაბამისად, საერთაშორისო სტანდარტების დაცვით. ამ პროცესმა მოიცვა ორი წელი, მიმდინარეობდა აქტიური თანამშრომლობა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან.

სამედიცინო კორპორაცია ევექსმა შეიტანა განაცხადი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი სასწავლო გეგმა იზიარებს ამერიკის, ფინეთის, ირლანდიისა და პოლონეთის სასწავლო გეგმის სქემას და მიჰყვება ევროკავშირის დირექტივის მოთხოვნას. ახალი სასწავლო პროგრამა დამტკიცდა 2018 წლის 18 აპრილს. მიუხედავად მიმდინარე პროგრამის თეორიული და პრაქტიკული ხარვეზების შევსების მცდელობისა, საექთნო განათლების სასურველი საერთაშორისო დონის დაკმაყოფილება მაინც რთულია. რთულ სასწავლო გეგმასთან ერთად, სასწავლო პროცესი დიდ წინააღმდეგობებს აწყდება სათანადო ინტელექტუალური და ადამიანური რესურსის არარსებობის გამო. ამჟამად ექთან ტრენერების ძალიან მცირე რაოდენობა ასწავლის კოლეჯებში. ლექციების უმეტესობას ექიმები ატარებენ. ეს პრობლემა კიდევ უფრო გაუარესდა სასწავლო მასალების ნაკლებობით. ამჟამად ჩვენ ვცდილობთ პრობლემის მოგვარებას ადგილზე შექმნილი სასწავლო კონსპექტებით.

ჩვენი მიზანს წარმოადგენს და უკვე ვმვუშობთ EBRD და EVEX შორის გაფორმებული პარტნიორობის საფუძველზე, საგანმანათლებლო ლიტერატურის შექმნის მხრივ. ამ მიზნის შესრულებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ამ კომპონენტის გარეშე, ვერ განხორციელდება შესაბამისი სრულფასოვანი განათლების სქემის აგება.

***თამარ დაუსი,***
***შ.პ.ს დავით ტვილდიანის სახელობის საზოგადოებრივი საექთნო კოლეჯის რექტორი, კორპორაცია ევექსის საექთნო მიმართულების ხელმძღვანელი***





# სკოლა და სკოლის ექიმი პირველადი ჯანდაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამხმარე საყრდენი უნდა იყოს

## „ყურადღება ტრიადას“ – საჩვენებელი პროექტი კიდევ ერთხელ დავიწყეთ. ამჯერად, ქ. თბილისის №41 სკოლაში

რამოდენიმე წლის წინ ქ თბილისის №53 და №51 სკოლებში იდენტურმა პროგრამებმა შექმნეს საფუძველი,რომ სკოლებში ექიმის კაბინეტის სტატუსი აგველორძინებინა.

დღეს უკვე სხვა გამოწვევების წინაშე დგას საგანმანათლებლო სისტემა.

სკოლამ განათლებულ ბავშვთა და მოზარდებთან ერთად ჯანმრთელ თაობის აღზდაშიც თავისი ღირსეული ადგილი უნდა დაიკავოს.

სკოლა და მისი სკოლის ექიმი პირველადი ჯანდაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამხმარე საყრდენი უნდა იყოს.

ამჯერად, საჩვენებელი პროექტი ქ. თბილისის №41 სკოლაში ითვალისწინებს ერთად მოსწავლეების უფასოდ გასინჯვებს და სკოლის ექიმის პროფესიულ პრაქტიკულ-თეორიულ ტრენინგებს სხვადასხვა პროფილით – პედიატრია,ბავშვთა კარდიოო-რევმატოლოგია, ორთოპეგია, კვება და სხვ.

**აქვე აღვნიშნავთ, რომ ა/წ 30 თებერვალს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტომ მიანიჭა აკრედიტაცია სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის დასწრებულ მოკლევადიან 8 S დღიან უპგ პროგრამას:** „სკოლის და ბაღის სამედიცინო პერსონალის უწყვეტი პროფესიული განათლებისთვის“. **50 კრედიტ ქულა, რომელიც ჯერჯერობით გაიარა:**

ჯალაღონია მარინა რუსთავი – 23



მჭედლიშვილი მანანა – 89

გოგლიძე მზია – 198

ტარტარაშვილი იანა – 73

ლომაძე ლელა – 123

თამარ ლომიძე – 31

ლია გაჩეჩილაძე – 144

დიასამიძე დიანა – 26

აბდალა ხათუნა – 6 ბათუმი

ვფიქრობთ აღნიშნული პროგრამები მხარდასაჭერია და ველოდებით შესაბამის წინადადებებს.



*მიმდინარეობს სკოლის ექიმის გადამზადების პროცესი*





## გვახსოვდეს თუ სკოლის ექიმს რა მოეთხოვება

**1. სკოლაში ბავშვთა და მოზარდთა ჰიგიენაზე ზრუნვა კერძოდ,**

- ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური განვითარების დინამიკაზე
- სასწავლო პროცესის ჰიგიენა-რეჟიმზე კონტროლი (გაკვეთილების რაოდენობა-ხანგრძლივობა, დასვენებები, ჰაერის განიავება და ა.შ.)
- კვების ჰიგიენა.
- დეზინფექციაზე, დერატიზაციაზე, დეზინექციაზე.
- სანიტარულ-ტექნიკური ნორმების დაცვა (გათბობა, განათება, წყლით მომარაგება, კანალიზაცია, ვენტილაცია).
- სკოლის აღჭურვილობით ჰიგიენური ნორმების დაცვა (მერხი, ლაბორატორიული მოწყობილობები, სპორტ დარბაზის აღჭურვილობა და ა.შ.
- სკოლის სახელმძღვანელოების ჰიგიენური ნორმების დაცვა.
- შენობათა ადგილმდებარეობის ჰიგიენური ნორმების დაცვა სკოლებისკენ.
- და სხვა ჰიგიენური ნორმების დაცვა სკოლაში.

**2. სპორტული ტრავმების პროფილაქტიკაზე ზრუნვა.**

**3. სპორტის სხვადასხვა სახეობით დაკავებულ ბავშვთა და მოზარდთა ეფექტური საექიმო კონტროლის წარმოება.**

**4. ყოველგვარი I- დი სამედიცინო დახმარების გაწევა.**

**5. ბავშვთა და მოზარდთა დაავადებების პროფილაქტიკა.**

**6. უეცარი სიკვდილის თავიდან აცილება (Q-T ინტერვალის გახანგრძლივება, ინფექციურ და ვირუსულ დაავადებათა შემდგომი არითმიის გამოვლენა და ა.შ.)**

**7. სკოლაში ეპიდრეჟიმზე კონტროლი**

# სამყარო. როგორც ვალეოლოგიური განათლების შემეცნებითი ფუნდამენტი

*დასასრული. დასაწყისი მე-5 გვ.*

დეს სოციალურ-კონსტრუქციულზე, რაც უზრუნველყოფს ადამიანის ჯანმრთელობის განმტკიცებასა და აქტიურ დღეგრძელობას“. მაშ, პრინციპულად უნდა შეიცვალოს ექიმის როლიც: „დაავადების მკურნალისგან“ ის „ჯანმრთელობის კონსტრუქტორად“ უნდა იქცეს, ხოლო „დაავადებათა მედიცინა“ „ჯანმრთელობის მედიცინად“ გარდაიქმნეს. სამწუხაროდ, კაცობრიობის განვითარების ყველა ეტაპზე ჯანმრთელობა არ განიხილებოდა სამედიცინო მეცნიერების პრეროგატივად. ორთოდოქსული (კლასიკური) მედიცინა ყოველთვის დაკავებული იყო ავადმყოფი ადამიანების მკურნალობით. ამასთანავე, დაავადების მძიმე მდგომარეობიდან ადამიანების გამოყვანა ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ მას ჯანმრთელობა დაუბრუნდა, ე.ი. სიჯანსაღის თვალსაზრისით საუკეთესო მდგომარეობაშია და ნებაყოფლობით და ხალისიანად ასრულებს თავის მოვალეობებს, რაც, ცხოვრებამ (პირადულმა და საზოგადოებრივმა) დააკისრა. თანამედროვე მედიცინის პათოცენტრისტულ შეხედულებათა კვალზე პრაქტიკოსი ექიმი თავისი პროფესიული განათლებით დიაგნოსტირების პროცესში კონცენტრაციას ახდენს მხოლოდ დაავადებული ადამიანის ორგანულ პათოლოგიაზე. ასე ცალმხრივი ქმედებით მკურნალი კარგავს დაავადების სრული კლინიკური გამოვლინების რეალური სურათის აღქმას, რითაც შეუძლია დაადგინოს მოცემული დროის რეჟიმში იმ პაციენტების ჯანმრთელობის ხარისხი, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ ჯანმრთელები იყვნენ. მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ დაავადების კლინიკური ნიშნების გამოუვლინებლობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს აბსოლუტურ ჯანმრთელობას, რადგან ჯანმრთელობასა და ავადმყოფობას შორის არსებობს მესამე (გარდამავალი) მდგომარეობა, როცა ადამიანი არც ჯანმრთელია და არც ავადმყოფი. ექიმები ჯანმრთელობის მესამე მდგომარეობით, როგორც წესი, არ ინტერესდებიან, რადგან ვერ ფლობენ იმ მიზანდასახულ სადიაგნოსტიკო ხერხებსა და საშუალებებს, რომლებიც საჭიროა ჯანმრთელობის ფორმირების, შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის. ამას ისიც ემატება, რომ ექიმს საერთოდ არ აინტერესებს ჯანმრთელი ადამიანის ორგანიზმის ინდივიდუალური თავისებურებანი, ისევე, როგორც ჯანმრთელ ადამიანს – ექიმის პრაქტიკული შემოქმედებითი მოღვაწეობა. ადამიანისა და ექიმის ურთიერთდამოკიდებულებას საინტერესოდ განსაზღვრავს კარლ მარქსი: „ადამიანის სხეული ბუნებით მოკვდავია. ამიტომ დაავადებები გარდაუვალია. რატომ მაინცდამაინც, მხოლოდ მაშინ მიმართავს ექიმს ადამიანი, როცა ის დაავადებულია, და არა მაშინ, როცა ჯანმრთელია? იმიტომ, რომ არამარტო დაავადება, არამედ თვით ექიმიც არის ბოროტება. მუდმივი საექიმო მეურვეობა სიცოცხლეს ბოროტად აქცევს, ხოლო ადამიანის სხეულს – სავარჯიშო ობიექტად.“

ადამიანთა უმრავლესობა ჯანმრთელი იბადება, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ხშირად ჩვენი ორგანიზმის ბუნებრივ ძახილს არ ვუსმენთ, ყურადღებას არ ვაქცევთ მის პირველსავე განგაშს – კლინიკურ სიმპტომებს – არადა, ამგვარად მოქცევისას მოსალოდნელი დაავადება იოლად და დროულადაღიკვეთებოდა.

კლასიკურმა სახელმწიფოებრივმა მედიცინამ და ჯანდაცვის სისტემამ, მიუხედავად იმისა, რომ მიაღწიეს უმაღლეს წარმატებებს მედიცინისა და ბიოლოგიის მეცნიერებათა სფეროში, ვერაფერი გააკეთეს ადამიანის ჯანმრთელობის პრობლემის გადაწყვეტის თვალსაზრისით. სახელმწიფოებრივი მედიცინა ყოველთვის იყო და არის მხოლოდ სამკურნალო მედიცინა, „ჯანდაცვა“ კი არასდროს გამხდარა მოსახლეობის ჯანდაცვის ორგანიზატორად. ჯანმრთელობის სისტემის დაწესებულებები დღესაც უპირატესად წარმოდგენილია კლინიკური მედიცინის ორგანიზატორებად. მთავრობამ დღემდე ვერ შეიგნო მოსახლეობის ჯანმრთელობის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა სახელმწიფოს ეკონომიკურ და სულიერ განვითარებაში. ქვეყნის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პროგნოზირება კი მეცნიერული კვლევის გაუშლელად შეუძლებელია. მაშ, მედიცინა გადაიქცა ვიწროსპეციალიზებულ სამკურნალო დარგად და თავისი არსით მოგვევლინა მეცნიერებად, რომელიც დაავადებაზეა ორიენტირებული და ყველაზე ნაკლებად კი – ჯანმრთელობაზე.

დღეს მსოფლიოში მოსახლეობის ჯანმრთელობის ფორმირების, შენარჩუნებისა და განმტკიცების მხრივ შეიქმნა მეტად საშიში და პარადოქსული მდგომარეობა: რაც უფრო მეტად განვითარდა მედიცინა, მით უფრო მეტად დაგრძელდა (თანამედროვე ნოზოლოგიური ნომენკლატურის შესაბამისად) პაციენტებისათვის დასმული დიაგნოზების სია. მან შეიძლება მიაღწიოს 23 ათასამდე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თითოეულ ჩვენგანს საშუალოდ უნდა სჭირდეს 20-ზე მეტი დაავადება. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ ვიწრო სპეციალისტები რეგულარულად იგონებენ ახალ სინდრომებს, პათოლოგიებსა და დაავადებებს. ყოველ შემთხვევაში, გარედან ასეთი სურათი იხატება. ამიტომ ნებისმიერი ადამიანი უნდა ცდილობდეს, დაიცვას ჯანმრთელი ცხოვრების წესი და ორგანიზმის დაცვით-კომპენსატორული მექანიზმების დროულად ჩართვით შეინარჩუნოს და განიმტკიცოს ჯანმრთელობა.

ჯანდაცვის გაუთავებელი რეფორმები ადამიანის ჯანმრთელობას კი არ ემსახურება, არამედ ხელს უწყობს ავადმყოფთა რაოდენობის ზრდასა და დემოგრაფიული ვითარების გაუარესებას, ჯანდაცვის სისტემასა და სააფთიაქო ქსელში ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესებას დაავადებულთა ხარჯზე. ამას ისიც ემატება, რომ იგი კერძო სტრუქტურებშია გადასული, სამინისტროს მხოლოდ სადამსჯელო ფუნქციაღა დარჩა და საერთოდ ვერ აკონტროლებს ჯანდაცვას. შექმნილია ელიტარული კლინიკები, მათზე წამდაუწუმ ლაპარაკობენ ტელევიზორში, და რეკლამას უკეთებენ ოპერაციებს, სხვადასხვა დაავადების მკურნალობას და არავინ არაფერს ამბობს იმაზე, რომ ეს დაავადება არ გაჩნდეს. რატომ მიდის ავადმყოფი ოპერაციამდე? რატომ დაავადდა ამა თუ იმ დაავადებით? რატომაა მოშლილი პროფილაქტიკური მედიცინა, რაიონებში ხომ საერთოდ თითქმის ჩავარდნილია პრევენცია და იქ სპეციალისტების დიდი დეფიციტია. ...საყოველთაო დაზღვევის მოდელი ძირითადად გადმოღებულია გერმანიიდან. კი, მაგრამ ჩვენ გერმანიის დონეზე ვართ? ჯანდაცვა რას უნდა ცდილობდეს? უნდა იცავდეს სიცოცხლეს. მაშ, ესაა სიცოცხლის დაზღვევა, მაგრამ ეს დაზღვევა არის უეფექტო და მიუღებელი, თუმცა, ეს რომ არ დაენერგათ, სამკურნალო დაწესებულებები გაკოტრდებოდნენ. აქ საუბარია მოსახლეობის მომსახურებაზე, ეკონომიკურად განადგურებულ, ვალების მქონე საავადმყოფოებზე, მილიონობით უმუშევარზე . ექიმი დატოვეს გამომუშავებაზე და, თუ მას ავადმყოფი არ ეყოლა, ის ან მოიხსნება, ან უხელფასოდ დარჩება. ექიმი რითაა დაინტერესებული? ავადმყოფით და თუ, ავადმყოფი არ ეყოლა, ტოვებს საავადმყოფოს. რატომაა ამდენი სიკვდილიანობა? იმიტომ, რომ რეფორმა უვარგისია. ჯანდაცვის სამინისტრო არაფერზე პასუხს არ აგებს. ამ დროს სისტემა როგორი უნდა იყოს? ყოველი ავადმყოფის გადარჩენაზე უნდა ზრუნავდეს. საავადმყოფოები ერთ მუშტად უნდა იყოს შეკრული, მართვა და კონტროლი ზემოდან ხდებოდეს. აქ კი რა ხდება? ჯანდაცვის სისტემა ისეთივე ბიზნესად აქციეს, როგორც კარტოფილისა და კომბოსტოს ბიზნესი. ისიც მოგებაზე მუშაობს და, რაც მეტი ადამიანი გახდება ავად, ბიზნესი მით უფრო მოიგებს. ადრე სამედიცინო ბიზნესი სახელმწიფოსი იყო და ფულსთავის მოსახლეობას ახმარდა, რადგან სახელმწიფო ხალხისა იყო. ამრიგად, ჯანდაცვის სისტემა რეალურად რეფორმის გარეშე დარჩა და მისი ინტერესი გახდა ავადმყოფების რაოდენობის პროგრესული მატება. ამას კი უზარმაზარი ფული შემოაქვს მედიცინაში. ეს თანხა კი აკლდება ხალხს და ილექება კლინიკების მეპატრონეების ჯიბეებში. ამათ წილში ჰყავთ ის ადამიანები, ვინც მათ მხარს უჭერს. ჯანდაცვა მოითხოვს რეალურ რეფორმას, უნდა გაიზარდოს პრევენცია და პროფილაქტიკური მედიცინა. თუ ადამიანი დაავადდა და საავადმყოფოში მოხვდა,სწორედ ეს უნდა გახდეს „განგაშის“ მიზეზი. რეფორმაა გასატარებელი პოლიკლინიკებსა და სასწრაფო დახმარების ცენტრებში და, რაც მთავარია, თავად სამინისტროში, რადგან სახელმწიფოებრივმა ჯანდაცვამ ამოწურა თავისი სისტემური შესაძლებლობები, ვერ უზრუნველყო მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და პრინციპულად მოითხოვა ამ სოციალური ინსტიტუტის დემონტაჟი დამოუკიდებელი სამსახურების შექმნით ცალკე – ავადმყოფებისა და ცალკე ჯანმრთელი ადამიანები-სათვის. აქედან გამომდინარე, ვალეოლოგია უნდა განვიხილოთ, როგორც „ჯანმრთელობის მედიცინა“, რომელიც ხელს შეუწყობს პიროვნებისა და ოჯახის კეთილდღეობას, გაზრდის ქვეყნის შრომით პოტენციალს, კულტურის დონეს და ა.შ.

ერთადერთი გზა, რომელმაც უნდა მიიყვანოს ნებისმიერი ადამიანი, ერი და კაცობრიობა ჯანმრთელო-ბასთან – არის ადამიანის შეცვლილი დამოკიდებულება თავისი ჯანმრთელობის მიმართ. მან თვითონვე უნდა გააკეთოს არჩევანი: ჯანმრთელობა თუ ავადმყოფობა. ადამიანს, თავისი ჯანმრთელობის მიმართ უნდა ჰქონდეს მკვეთრად თგამოხატული დადებითი მოტივაცის, რადგან მხოლოდ ჯანმრთელ პიროვნებას შეუძლია მიაღწიოს მოთხოვნილებათა იერარქიის უმაღლეს საფეხურს – თვითრეალიზაციას.

***იგ. დოლიძე***
*მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი*

***გ.ჩახუნაშვილი***
*მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი*

# ლელი ქერქაძე – 95

**მოგონება**



ქალბატონი ლელი საქართველოს პედიატრთა დიდი ოჯახის ღირსეული და თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო. სრულიად საქართველოს სამედიცინო საზოგადებაა მოწმე იმისა, თუ რაოდენ დიდი მონდომებით, სიყვარულითა და სულიერი სიფაქიზით იღწვოდა ქართული პედიატრიის მდიდარი ტრადიციების გაგრძელებისა და ახალგაზრდა სპეციალისტთა აღზრდისთვის. მან ყველა იერარქიული კიბის საფეხური აიარა სამედიცინო მეცნიერების მწვერვალამდე, პროფესიულ სრულყოფამდე. ქალბატონი ლელის უდიდესი ღირსება, სხვა ღირსებებს შორის ტრადიციულობისა და თანამედროვეობის შერწყმა იყო, ყველაფერთან ერთად ყოველთვის უკან მოხედვას და წარსულის პატივისცემას გვასწავლიდა. პიროვნული და პროფესიონალური ძლიერებიდან გამომდინარე ის ყოველთვის იყო მართალი, სწორი, საოცარი ინტუიციის მქონე, იღბლიანი ექიმი, წარმატებული პიროვნება, საუკეთესო მოსაუბრე ლექტორი, შესანიშნავი მეოჯახე, სადაც ბრძოლა იყო საჭირო იბრძოდა, სადაც დაყვავება, ამასაც კარგად ახერხებდა, სამედიცინო საზოგადოებას კარგად ახსოვს მისი საოცრად აზრიანი და პრინციპული გამოსვლები, თუ როგორ იცავდა ის პედიატრიას, მეცნიერებას, პედაგოგიკას, მეგობრებს, ნაცნობებს და როგორი პატრიოტი იყო საკუთარი ქვეყნის. ვერასოდეს დავივიწყებ როგორ ადვილად პოულობდა დახმარების დელიკატურ ფორმებს და ამით ყველაზე მეტად თვითონვე ხარობდა, ყველაზე ბედნიერი მაინც მაშინ იყო, როდესაც გზას უკვალავდა მეცნიერების დიდ გზაზე ახალგაზრდა სპეციალისტებს! ყველაზე მეტად ტყუილს და უმადურობას გმობდა ადამიანში, ალბათ ამიტომ ყოველთვის ყველას მადლიერი იყო, მცირეოდენი დამსახურების გამოც კი. მე პირადად მთელი ცხოვრებს მანძილზე ყოველთვის მემახსოვრება და მადლიერი ვიქნები ღირსეული ქალბატონის, ჩემი პროფესიული და პიროვნული ზრდის გზამკვლევი პედაგოგის და უფროსი მეგობრის, ქალბატონი ლელის!

*მმდ ი.მამუჩიშვილი*



# დაგვიანებული მილოცვა და მუდმივი მონატრება

ეს წერილი თურმე 19 წლის წინ დამიწერია, თუმცა ალბათ დღესაც ასეთივე პათოსით დავწერდი. მახსოვს, მაშინ 75 წლის იუბილე გადაუხადეს ქალბატონ ლელის, იყო საოცარი მისალმებები და მოგონებები, დიდი სითბოსა და სიყვარულის შემცველი.

გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო (ბევრი იყო ჩაწერილი და მსურველი), მაშინ ვერ მოხერხდა მივსალმებოდი ქალბატონ ლელის.

...და ეხლა როცა შევიტყვე იმის შესახებ, რომ ქალბატონ ლელი ქერქაძის ხსოვნას მიეძღვნებოდა საინტერესო სამეცნიერო ფორუმი, არ მინდოდა ასეთი შესაძლებლობის ხელიდან გაშვება.

წერილი მოყვანილია უცვლელად:

„მიესალმო ქალბატონ ლელის – ეს ერთდროულად ძნელიცაა და ადვილიც. ძნელია იმიტომ, რომ თითქოს ყველაფერი უკვე ითქვა, იმ ადამიანური ღირსებების შესახებ, რომელიც ღვთის მწყალობით აქვს ბოძებული ქალბატონ ლელის. იოლია, იმიტომ რომ ამოუწურავი, ამოუცნობი და უსაზღვროა ქალბატონი ლელის შესაძლებლობები, როგორც ადამიანის, როგორც ქალის, როგორც მასწავლებლისა და უფროსი მეგობრის.

მე მინდა, დღეს, დიდი სიყვარულითა და მადლიერებით გავიხსენო ჩემი ურთიერთობა ქალბატონ ლელისთან, როგორც მისი პირველი ასპირანტისა. ბატონ ირაკლი ფაღავას უეცარი გარდაცვალების შემდეგ, რომელიც ჩემი ხელმძღვანელი იყო, გაოგნებული და გზააბნეული დავრჩი. ქალბატონმა ლელიმ მისთვის ჩვეული მოფერებით დამმამშვიდა, გამამხნევა, მხარში ამომიდგა და უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობებით, ბატონ ირაკლი ფაღავს სახელის წინაშე, დამასრულებინა ჩემი საკანდიდატო დისერტაცია.



მინდა შევჩერდე ერთ მნიშვნელოვან დეტალზე, ქალბატონ ლელის დედა ავად ჰყავდა და მას საავადმყოფოში თავზე ადგა. საავადმყოფოში მყოფი უდიდესი ნერვიულობისა და განცდების მიუხედავად ძებნიდა ჩემთვის დროს, რათა ერთხელ კიდევ ერთხელ გადაეხედა ჩემი ნაშრომისთვის... ასე გრძელდებოდა ყოველდღე, მე საქაღალდეებით დახუნძლური მივდიოდი ქალბატონ ლელის „დედის სანახავად“.



ვფიქრობ, რომ მხოლოდ ამ ერთი ფაქტითაც თამამად შეგიძლიათ თქვათ, რომ ქალბატონი ლელი თავისი ცხოვრებით არის მისაბაძი მაგალითი ჩვენთვის, მისი მოწაფეებისთვის.

ქალბატონ ლელის ცხოვრების კრედოა „გიყვარდეს ადამიანი“ ზოგადად, განურჩევლად სოციალური თუ ეკონომიური მდგომარეობისა, ასაკისა თუ წარმომავლობისა... სწორედ ამიტომაც, განვლილმა წლებმა მრავალი მადლიერი ადამიანი, პაციენტის მშობელი თუ აღზრდილი შესძინა ქალბატონ ლელის, რასაც თავად უდიდეს სიმდიდრედ მიიჩნევს... დათუ ვინმეს შეუძლია თამამად წარმოთქვას „ჩემი წლები ჩემი სიმდიდრეა“. ო, ალბათ უპირველესად თქვენ ქალბატონო ლელი!

მინდა კიდევ ერთხელ მოგეფეროთ, მოგილოცოთ დაბადების დღე, მხნეობა, ჯანმრთელობა და დღეგრძლობა გისურვოთ!“

დღეს კი მახსენდება ის, რასაც ხშირად გვეუბნებოდით, „თქვენ ვერც კი გრძნობთ, როგორ იზრდებით ჩვენს გვერდითო“. მართლაც დიდი დრო გავიდა, ჩვენს გავიზარდეთ, დღეს როცა ცხოვრებამ ჩვენც ჩაგვაყენა მასწავლებელბის რიგებში, ვცდილობთ ოდნავად მაინც ვიყოთ თქვენი როგორც მოამაგე მასწავლებლის ღირსეული შთამომავალი. დაგვრჩა საუკეთსო მოგონებები და მარადიული სიყვარული.

*თსსუ პროფესორი*
*ირმა მანჯავიძე*

# გული დაგვწყვიტა ჩვენმა თოთიმ ღმერთმა გაანათლოს მისი სული



გავიხსენოთ ღირსეული ბიოგრაფია

თეიმურაზ (თოთი) ჟორჟოლიანი დაიბადა ქ. თბილისში.

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი 1978 წელს.

1978-1981წწ. კლინიკური ორდინატურა, ფტიზიატრია; 1982-1983წწ. ბავშვთა 23-ე პოლიკლინიკა. პედიატრი; 1983-1985წწ. ბავშვთა მე-3 საავადმყოფო, პედიატრი; 1985-1991წწ. ბავშვთა სნეულებათა პროპედევტიკის კათერდა, უფროსი ლაბორანტი; 1991-2000წწ. ბავშვთა სნეულებათა პროპედევტიკის კათედრა, ასისტენტი; 2000-2004წწ. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ინვალიდების სოციალური დაცვის სამმართველოს უფროსი.

საქართველოს მე-3 მოწვევის პარლამენტი, წევრი (1992-1995)

საქართველოს მე-6 მოწვევის პარლამენტი, წევრი (2004-2008)

საქართველოს მე-6 მოწვევის პარლამენტის ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატები”, წევრი (2004-2008)

ამის გარდა რაც ძირითადია იგი იყო სანიმუშო მეგობარი,მეუღლე, მამა, ბაბუა და საქართველოს ღირსეული შვილი.

ღმერთმა გაანათლოს მისი სული

ბავშვთა ახალი კლინიკა
247 04 01 CHILDREN'S NEW CLINIC

# საქართველოს ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაცია
**Georgian Children's Cardiologists Association**

CAC

## SOS!
### დროულად ავიცილოთ თავიდან კარდიალური რისკი ახალგაზრდებსა და მოზარდებში

**საქართველოს ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაციის სარეკომენდაციო ბარათი:**

ბავშვთა და მოზარდთა პრევენციული კარდიოლოგიის განვითარებისათვის აუცილებელია თითოეული ოჯახისათვის გათვითცნობიერებული იყოს ექიმის გარდა, მათი პირადი პასუხისმგებლობა, რაც მდგომარეობს შემდეგში: სასურველია წელიწადში ერთჯერ ბავშვისთვის მინიმუმ ელექტროკარდიოგრაფიული (ე.კ.გ.) გამოკვლევა (მითუმეტეს თუ ოჯახში დატვირთული ანამნეზია: გულის იშემიური დაავადება, ჰიპერტენზია, ათეროსკლეროზი, შაქრიანი დიაბეტი და ა.შ).

აუცილებელია – წელიწადში ორჯერ ე.კ.გ. კვლევა სტაციონარში თერაპიული თუ ქირურგიული პროფილით ნამკურნალევი ბავშვებისათვის.

აუცილებელია ტონზილექტომიის 2,5 თვის შემდგომ კვლევა გულსისხლძარღვთა სისტემის მხრივ, კარდიოლოგის კონსულტაციით და ა.შ.

შეუძლებელია ერთ სარეკომენდაციო წერილში ყველა იმ პრობლემურ საკითხებზე საუბარი, რომლის წინაშეც ჩვენ ვდგებით და ამიტომ, საქართველოს ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაცია მზადაა პასუხი გასცეს მშობელთა და არამარტო მშობელთა ყველა სასურველ შეკითხვებს.

მოდით ერთად ვიზრუნოთ ჩვენს მომავალზე.

კეთილი სურვილებით,

საქართველოს ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი გ. ჩახუნაშვილი

ევექსი
სამედიცინო კორპორაცია
„სამედიცინო კორპორაცია ევექსი"
EVEX MEDICAL CORPORATION

## ბავშვთა კარდიო-რევმატოლოგის კონსულტაციის აუცილებლობა

ადვილად დაღლა, საერთო სისუსტე, გულის არეში ჩხვლეტები ან ტკივილი, ჰაერის უკმარისობის შეგრძნება, ტაქიკარდია, არითმია, აუსკულტაციისას შუილები, ანგინებით, ბრონქიტებითა და ვირუსული ინფექციებით ხშირად მოავადე კონტიგენტი, ეკგ მონიტორინგით, ყველა სახის ართრალგია, მაღალი ანტისტრეპტოლიზინი, სინკოპე, ფიზიკურად დატვირთული ბავშვები (სპორტსმენები, მოცეკვავეები), უკვე დადგენილი სარქვლოვანი ნაკლოვანებების და პროლაფსების მონიტორინგი, კარდიო-რევმატოლოგის კონსულტაცია ტონზილექტომიის ჩატარებამდე.

ზემოთ აღნიშნული კონტიგენტისათვის ელექტროკარდიოგრაფიული კვლევის დინამიკაში დაკვირვების აუცილებლობა.


ერთ-ერთი პირველი ქართული პრეპარატები





წაკითხულია კლინიკური ლექციები ბავშვთა კარდიო-რევმატოლოგიის საფუძვლები - (სულ 4-ლექცია), სტუდენტების, რეზიდენტებისა და ექიმებთათვის. აგრეთვე უმაღლეს სასწავლებელთა პედაგოგთათვის. შესაძლებელია მსურველებს პრეზენტაციები ჩაგაწერინოთ.

(„ირ.ციციშვილის სახ. ბავშვთა ახალი კლინიკა" – ლუბლიანას ქ. 21. დიღომი)

რა თქმა უნდა,როგორც ყოველთვის,
ეს იქნება საჩუქრის სახით.

(სასურველია წინასწარ შემითანხმდეთ – პროფესორი გიორგი ჩახუნაშვილი)







## საქართველოში სკოლის ექიმების უწყვეტი პროფესიული განათლების აკრედიტებული პროგრამა – 2019 სკოლის ექიმს მოეთხოვება

1. სკოლაში ბავშვთა და მოზარდთა ჰიგიენაზე ზრუნვა კერძოდ.
- ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური განვითარების დინამიკაზე
- სასწავლო პროცესის ჰიგიენა-რეჟიმზე კონტროლი (გაკვეთილების რაოდენობა – ხანგრძლივობა, დასვენებები, ჰაერის განიავება და ა.შ.)
- კვების ჰიგიენა.
- დეზინფექციაზე, დერატიზაციაზე, დეზინექციაზე.
- სანიტარულ-ტექნიკური ნორმების დაცვა (გათბობა, განათება, წყლით მომარაგება, კანალიზაცია, ვენტილაცია).
- სკოლის აღჭურვილობით ჰიგიენური ნორმების დაცვა (მერხი, ლაბორატორიული მოწყობილობები, სპორტ დარბაზის აღჭურვილობა და ა.შ.
- სკოლის სახელმძღვანელოების ჰიგიენური ნორმების დაცვა.
- შენობათა ადგილმდებარეობის ჰიგიენური ნორმების დაცვა სკოლებისკენ.
- და სხვა ჰიგიენური ნორმების დაცვა სკოლაში.

2. სპორტული ტრავმების პროფილაქტიკაზე ზრუნვა.
3. სპორტის სხვადასხვა სახეობით დაკავებულ ბავშვთა და მოზარდთა ეფექტური საექიმო კონტროლის წარმოება.
4. ყოველგვარი I-დი სამედიცინო დახმარების გაწევა.
5. ბავშვთა და მოზარდთა დაავადებების პროფილაქტიკა.
6. უეცარი სიკვდილის თავიდან აცილება (Q-T ინტერვალის გახანგრძლივება, ინფექციურ და ვირუსულ დაავადებათა შემდგომი არითმიის გამოვლენა და ა.შ.).
7. სკოლაში ეპიდრეჟიმზე კონტროლი.








BaZi

**მისამართი:**
შ.პ.ს. „ბაზი" აღდგენითი თერაპიის ცენტრი – ლუბლიანას ქ.N 21 (დიღომი, ძველი ჟვანიას სახ. ბ/საავადმყოფოს ტერიტორიაზე)

ტელ.: 599 52 77 55
E-mail bazi2015@yahoo.com


ჯანმრთელობის დაცვის ორი ფაქტორი, რომელიც უაღრესად მნიშვნელოვანია მსოფლიოს მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის, არის სუფთა წყალი და აცრა.

ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდარი (დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 4.06.03 №122/ნ ბრძანებით)

| ასაკი/ვაქცინა | დაბადების თარიღი | 2 თვე | 3 თვე | 4 თვე | 12 თვე | 18 თვე | 5 წელი | 14 წელი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტუბერკულოზი ბცჟ (BCG) | BCG | | | | | | | |
| პოლიომიელიტი ოპვ (OPV) | | OPV1 | OPV2 | OPV3 | | OPV4 | OPV5 | |
| დიფთერია/ყივანახველა/ტეტანუსი-დყტ (DPT) | | DPT1 | DPT2 | DPT3 | | DPT4 | | |
| ვირუსული ჰეპატიტი B | HepB1 | HepB2 | | HepB3 | | | | |
| წითელა/ყბაყურა/წითურა–(MMR) | | | | | MMR1 | | MMR2 | |
| დიფტერია/ტეტანუსი–დტ (DT) | | | | | | | DT | |
| ტეტანუსი/დიფტერია-ტდ (Td) | | | | | | | | Td |

მთავარი რედაქტორი: გ. ჩახუნაშვილი
მოადგილე: თ. მიქელაძე, ნ. ჯობავა, გ. ძნელაძე
სარედაქციო საბჭო: – ნ. ბადრიაშვილი, ნ. თოფურიძე, დ. ჩახუნაშვილი, გ. ჩახუნაშვილი, კ. ჩახუნაშვილი, ვ. ცხომელიძე, ზ. შაქარაშვილი, ა. სარჯველაძე, ნ. თოთაძე, ივ. კუგოტი, ლ. ხუციძე, ივ. დოლიძე, ეკ. კვირკველია, მ. ივანიაძე, დ. ცხომელიძე, დ. ტაბუცაძე.

მისამართი:
ლუბლიანას ქ. 21
ტელ.: 593 33 71 54
www.sppf.info

გასაყიდად არ გავრცელდება

ISSN 1987-9849